ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

სადამრიგებლო პროგრამა, თავისუფალი დროის სწორად გამოყენება და მისი პრაქტიკაში დანერგვა

ბერძენი დოდო
ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საკონტაქტო ინფორმაცია: dodo-berdzeni@mail.ru, 557 96 77 96

რეზიუმე

დროს სიახლეები მოაქვს,იგი განათლების სისტემისაგან სასწავლო -სააღმზრდელო მოდელის ცვლილებებს მოითხოვს.ეს ცვლილებები გამოიხატება სწავლებაში ახალი მეთოდების დანერგვასა და მოტივაციის ამაღლებაში, სასიამოვნო სასწავლო და სააღმზრდელო გარემოს შექმნასა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაში, მათთან ურთიერთობებში დემოკრატიული ფორმების დანერგვასა და სიახლეებისადმი მზაობაში. რაც იყო გუშინ, დღეს განახლებას მოითხოვს , ან საერთოდ მიუღებელია. მასწავლებელი და მოსწავლე ერთად იწყებენ სიახლეების სწავლას.

ნაშრომში აღწერილია ეს სიახლეები, ურთიერთობები მოსწავლეებთან, მშობლებთან. საზოგადოებასთან. იგი მოიცავს გარკვეულ მონაკვეთს ჩვენი პედაგოგიური საქმიანობისა, რომელსაც წინ უძღოდა დიდი გამოცდილება სასწავლო- სააღმზრდელო პროცესებში.

ნაშრომში აღწერილია ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როდესაც მოსწავლეებთან ურთიერთობაში განვიცადე პირველი სიხარული და პირველი მარცხი,მაგრამ გაჩნდა პროფესიისადმი სიყვარული, იმედი, შემოქმედებითი დამოკიდებულება და სწრაფვა სიახლეების დანერგვისათვის,რომელიც ყოველთვის სჭირდებოდა და სჭირდება პედაგოგს.

სადამრიგებლო პროგრამის სწორად დაგეგმარებამ, თავისუფალი დროის მიზნობრივად გამოყენებამ, მოსწავლეებთან თანაავტორობით ჩატარებულმა გაკვეთილებმა, ღონისძიებებმა დაგვარწმუნა, რომ მათ სჭირდებათ მასწავლებელი-მზრუნველი, გარკვეულ საკითხებში პრინციპული, მაგრამ ამავე დროს მათი ინტერესების გამტარებელი და მეგობარი. ყველა ზემოჩამოთვლილი მეხმარება სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შერწყმაში,რომელიც გამოიხატება: სწავლების ხარისხის ამაღლებაში, ნდობის, ურთიერთპატივისცემისა და ყველა იმ საკითხების მოგვარება- განმტკიცებაში, რომელიც კავშირშია მოზარდში სწავლის მოტივაციის ამაღლებასა და ისეთი უნარ-ჩვევების დაუფლებაში, რომელიც მას ჩამოაყალიბებს საზოგადოებისათვის მისაღებ პიროვნებად

საკვანძო სიტყვები: *ზრუნვა, ზნეობრივი აღზრდა, სწავლება*

რეფორმა, მასწავლებელი და აღზრდის პრინციპები

დროის მოთხოვნა სცდება არსებულ სტანდარტებს. იგი სირთულეების წინაშე გვაყენებს, გვაიძულებს დავფიქრდეთ, როგორ მოვერგოთ, რა შევცვალოთ, რომ სწავლებისა და აღზრდის პროცესი საინტერესო, მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებული იყოს. ჩამოვაყალიბოთ ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და

ISSN 1512-1801

ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების უნარის მქონე პიროვნება.

ყველა თაობაში მასწავლებელი ამ სირთულეებზე ფიქრობდა და გამოსავალს ცნობილი ადამიანების დასაბუთებული რჩევების გათვალისწინებით, პრაქტიკული გამოცდილებით ეძიებდა, ჰპოვებდა და ახორციელებდა. მოზარდთან დაკავშირებული სწავლების ,აღზრდის, მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხები მნიშვნელოვანი იყო პედაგოგიური მეცნიერებისათვის. ჩვენი ჭკვიანი წინაპრებიც ბრძნულ დარიგებებს მოკრძალებული ფრაზებით, მრავალჯერ ნაცადი გამოცდილებით მიგვანიშნებდნენ:"ცემა გმართებს გამზრდელისა, როს ყრმა ნახო ცუდად ზრდილი".

მასწავლებელი დროს ყოველთვის უსწრებდა და უსწრებს, რადგან მოზარდი სწრაფად ისრუტავს სამყაროს სიახლეებს, განათლების სისტემა კი რეფორმის სახით აყალიბებდა და აყალიბებს აღზრდის ისეთ პრინციპებს, რომელსაც შეუძლია მოზარდი აღზრდოს უწყვეტი განვითარების მქონე, კომუნიკაციური უნარებით აღჭურვილ, შემოქმედებით, ტოლერანტ და კანონმორჩილ მოქალაქედ.

კლასგარეშე საქმიანობა სასწავლო პროცესის ღერძია

კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობა სასწავლო პროცესის მასტიმულირებელი ღერძია. კარგად დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამა, რა თქმა უნდა მოზარდის ინტერესების გათვალისწინებით, არა მხოლოდ აყალიბებს მას მომავლის მოქალაქედ, არამედ უღვივებს სწავლისადმი ინტერესს, მოსწავლე გახნილია , თავისუფლად აყალიბებს აზრს, აზროვნებს კრიტიკულად, ეჩვევა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან თანამშრომლობას, გამქრალია შიშის ფაქტორი, რომელიც მას ეხმარება საზოგადოებასთან ურთიერთობის გაფართოებასა და თავის დამკვიდრებაში. ასეთი აღსაზრდელები სწავლაში საოცარ წარმატებებს აღწევენ, ან იწყებენ სწავლას , ეს ჯადოსნური ნაბიჯებია, რომელიც დროს მოითხოვს, მაგრამ შედეგიანია.

პედაგოგიკაში ნდობის ფაქტორი დადებითი მუხტია

მასწავლებელი-მეგობარი, მასწავლებელი-მრჩეველი, მასწავლებლის ასეთი როლი მოსწონთ მოსწავლეებს, ისინი გენდობიან, სჯერათ შენი, იზიარებენ აზრებს, აყალიბებენ მომავალს და ამ დროს, სწორედ მათგან ეუფლები აღზრდის დიდ ხელოვნებას. ფიქრობ, როგორ მიაწოდო შენიშვნა ისე, რომ რწმენა არ გაუქრო. ვაწოდებ იდეას ან თვითონ მაწვდიან, მაგრამ საკითხის სრულად მოგვარებასა და ჩამოყალიბებისათვის ეს ცოტაა. საჭიროა დამხმარე სხვადასხვა აზრი, რომელიც უხვადაა ჩვენს აღსაზრდელებში. თუნდაც ერთი უბრალო ფრაზის გაჟღერებით, ისინი რთული და დიდი საქმეების გადაწვეტაში მარტივად გვეხმარებიან, ამიტომ ხშირად ვადევნებ თვალს, ვუგდებ ყურს და გულს მათ გულწრფელ აზრებს, ქცევებს, შენიშვნებს. ვცდილობ იქიდან მარგალიტების ამოკრეფას, დახარისხებას, გააზრებას, ისევ მათი ინტერესებისა და სწორი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

მოსწავლეებს, განსაკუთრებით 14,15,16 წლის ასაკში, მოსწონთ, როდესაც ენდობი, ავალებ სხვადასხვა საკითხის მოგვარებას, ექსკურსიის ან ღონისძიების დაგეგმარებას,

ISSN 1512-1801

მასალების მოძიებას, კონფლიქტურ სიტუაციებში ჩართვას. ისინი ხალისით და მონდომებით ასრულებენ დავალებებს, ფიქრობენ, რომ სხვისი დახმარების გარეშე შეძლებენ თავის გართმევას, მაგრამ მასწავლებლის ფხიზელი თვალი და გონება მათ ირგვლივ უნდა ტრიალებდეს.

თავისუფალი დროის სწორად განკარგვა და მისი მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება მოსწავლეს, მშობელს, საზოგადოებას უქმნის უსაფრთხო გარემოს და მოზარდს აჩვევს დროის სწორად განკარგვას. ხელს უწყობს ინტეგრაციას, თანამშრომლობას, უყალიბებს დისკუსიის, კრიტიკული აზროვნების, საკითხებისადმი შემოქმედებით მიდგომას, პრაქტიკული და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებას. აჩვევს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ეთიკის და საკანონმდებლო წეს-ჩვეულებათა სწორად აღქმას. ყოველივე ზემოჩამოთვლილის გარეშე კი სასწავლო პროცესი სრულყოფილი ვერ იქნება.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობა მოსწავლეთათვის სახალისოა, მაგრამ პედაგოგისათვის რთული სამართავი, რადგან მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება პედაგოგისაგან გარკვეულ მიდგომას და გონივრულ გადაწყვეტილებას მოითხოვს. ჯანსაღი დამოკიდებულება, სწორი მიმართულება, სწორად განაწილებული თავისუფალი დრო მოსწავლეს სასიამოვნო და საინტერესო გარემოს უქმნის სასწავლო პროცესში და სწავლის მოტივაციის ამაღლების ერთ -ერთი პირობაა. როცა მოსწავლეს უჩნდება სწავლის სურვილი, მისთვის თავისუფალი დროის ორგანიზება, კლასგარეშე ღონისძიებაში ჩართვა, მის წარმართვაში დროის გადანაწილება მოწესრიგებული აქვს. ამ პროცესების შერწყმა მათ აყალიბებთ ისეთ პიროვნებებად, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი მომავლის მართვა.

„ მე თქვენ მასწავლით ცხოვრების სირთულეების დაძლევას, მიზნისკენ სწრაფვას, დროის სწორად გამოყენებას, გმადლობთ, მასწავლებელო",- საკონფერენციო თემიდან: „მე ვსწავლობ ცხოვრებას"

„გმადლობთ მასწავლებლებო, რომ შემაძლებინეთ, ჩემი დრო თავად განვკარგო"- საკონფერენციო თემიდან"-სიცოცხლე, რომელიც ძალიან მიყვარს"- ავთანდილ ნადარეიშვილი .

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტის მესამე კურსის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წარჩინებული სტუდენტი.

რეფორმამ შეკრა და განამტკიცა სამკუთხედი: სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. მათი ჩართულობა და მხარდაჭერა მოზარდის თავისუფალი დროის სწორად გამოყენებაში ფუნდამენტალურია. საზოგადოება, მშობელი, როდესაც ხედავს შედეგს, მისგან

ISSN 1512-1801

აღიარება და დახმარება გარანტირებულია. სკოლაც კონკურენტუნარიანია, მცირდება მოზარდებს შორის დანაშაული და მოგვარებულია ქუჩის პრობლემები.

სადამრიგებლო პროგრამა, დაგეგმარება და ინტერესები

სადამრიგებლო პროგრამის შედგენა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მომგებიანია, თუ იგი წარმატებით სრულდება. ამ დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი თავისებურებანი, ასაკი, თუმცაღა ეს საკითხი დღეს არ არის პრობლემური, რადგან მოსწავლეებმა მშვენივრად იციან, რა მოსწონთ და რა უხდება დღევანდელობას, მაგრამ პროგრამის შედგენისას აუცილებელია დამრიგებლის პედაგოგიური ალღოს გათვალისწინება, როგორც ინტერესთა დაბალანსების, მოსწავლეთა მასიური ჩართულობის, შესაძლებლობების, ურთიერთდამოკიდებულების, შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეთა სასწავლო და სააღმზრდელო პროცესებში ჩართვის, მშობლებისა და საზოგადოების მხარდაჭერისა და სხვა შემხვედრი საკითხებისათვის.

ხშირად ვსარგებლობ პრინციპით: არასდროს მოახვიო მოსწავლეებს ის, რაც მათ დამოუკიდებლად უნდა შექმნან, იფიქრონ, გადაწყვიტონ, მოუარონ , ევალებათ. ამაში მეხმარება მათივე ნააზრევის ქცევის წესებად ჩამოყალიბება;' „კონტროლი გავუწიოთ საკუთარ ქმედებებს", ,,უმიზეზოდ არ გავაცდინოთ და არ დავაგვიანოთ" „გავუფრთხილდეთ ინვენტარს, შევასრულოთ მორიგეობა" ,,ჩავებათ გამოცხადებულ კონკურსებში, ვისწავლოთ კარგად, დავეხმაროთ ამხანაგებს" ,,დავეუფლოთ ახალ მეთოდოლოგიებს", „უფროსებთან დამოკიდებულებაში ვიყოთ გულწრფელნი" კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებში გამოვიჩინოთ ინიციატივა" - ეს ფიცია, რომელიც მოთხოვნაზე უფრო თხოვნას და ინიციატივას შეიცავს, რომელსაც ხშირად აყოლებენ თვალს, იაზრებენ და პასუხისმგებლობას ინაწილებენ. იქ, სადაც სადამრიგებლო პროგრამა მოსწავლეთა ინტერესებით ყალიბდება, მასწავლებელი კი მათთან გათანაბრებული ერთ-ერთი შემსრულებელი პირია, მერწმუნეთ, ყველაფერი განათლების ხარისხის ზრდას და მათს ზნეობრივ აღზრდას უწყობს ხელს.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობის მიმართულებანი

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მიმართულებანი განათლების სისტემაში მოიაზრება არსებული სტანდარტისა და მოსწავლეთა ინტერესების რეალობაში გამოხატვისა და გატარების ერთობლიობით

კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობის მიმართულების თვალსაზრისით ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე მიმართებით, რომლებიც მეხმარება აღვზარდო ზნეობრივად ამაღლებული, სწავლაში წარმატებული, თვითკრიტიკული და ღია, სიახლეებისთვის მზა ადამიანი. ეს მიმართულებებია: ა)მეცნიერება ბ) ხელოვნება გ)დისკუსია დ)ექსკურსიები ე)მზრუნველები. ნაშრომში თავმოყრილია ჩემი პედაგოგიური გამოცდილების და პრაქტიკული საქმიანობის ერთი მონაკვეთი და ის სიახლეები , რომელიც ვისწავლე, დავნერგე და ახლა წარმატებით ვუძღვები.

ISSN 1512-1801

სწავლებასა და აღზრდის პროცესებში იყო დრო, როდესაც მასწავლებელი წარმოადგენდა ლიდერს. დღეს პირიქითაა, ჩვენ ვასწავლით მოსწავლეებს ლიდერობას და ვამზადებთ თავისუფალი, დემოკრატიული ცხოვრებისათვის, ვსწავლობთ, რომ ვასწავლოთ სწავლა და მომავალი.

სად ყალიბდებიან მოზარდები?

სად ყალიბდებიან მოზარდები?, როგორ ხდებიან დამნაშავენი? პასუხი ერთია - ყალიბდებიან და მრუდდებიან იქ, სადაც გრძნობენ სიკეთეს და ბოროტებას, სიმართლეს და უსამართლობას, სიყვარულს და სიძულვილს. მოზარდს ჯანსაღი გარემო, რწმენის განმტკიცება, ნდობის აღიარება სჭირდება. თვალსაზრისს ამ საკითხების ირგვლივ მოსწავლეები თამამად გამოხატავენ სასკოლო თუ საკლასო დისკუსიებში, ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვისას და სასკოლო ცხოვრებიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. საკითხი გლობალურია და იგი მოსწავლეთა ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს, ამაზე უფოსებიც უნდა დავფიქრდეთ.

პედაგოგიკა აღზრდის ხელოვნებაა, აღზრდას უნივერსალური თეორიები, მზა მეთოდები ყოველთვის ვერ აგვირისტებს, რადგან იგი ინდივიდუალურია და იხატება შემოქმედებითი რუდუნებით, სიყვარულით, სამყაროსა და ადამიანების კეთილი ნებით.

„ძნელია გამოხატო მასწავლებლისადმი მადლიერება, რადგან ზღვასავით უშრეტია საქმე, რომელიც გერგოთ, მუხასავით ფესვმაგარია თქვენგან ჩაყრილი თესლი. გმადლობთ, მასწავლებელო, რომ მასწავლეთ ცხოვრება" სალომე გოგინავა

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. (სადამრიგებლო კლასიდან)

მონიტორინგი, შეფასება და შედეგები

დაფასება, დაჯილდოება, აღიარება, ყურადღება სწავლასა და კლასგარეშე საქმიანობაში მოტივაციის ამაღლების დადებითი მომენტია. როდესაც მოზარდი გრძნობს ყურადღებას, მზრუნველობას, აღიარებას პედაგოგისაგან, სკოლის დირექციისაგან, სახელმწიფოსაგან, იგი ზრუნავს წარმოჩენისათვის, მონდომება და ხალისი უორკეცდება, ყალიბდება სამართლიან და კანონმორჩილ მოქალაქედ. ამის საუკეთესო მაგალითებია: ფულადი პრემიები, სამახსოვრო საჩუქრები, საზაფხულო ბანაკებში წარმატებულ მოსწავლეთა გაგზავნა, პრეზიდენტის საჩუქარი-კომპიუტურები, სკოლის დირექციისაგან: წლის საუკეთესო მოსწავლეებად წარდგენა, სიგელებით, დიპლომებითა და წამახალისებელი პრემიებით დაჯილდოება.

ჩვენ ერთად ვსწავლობთ სწავლას და ცხოვრებას

ISSN 1512-1801

პედაგოგიკა აღზრდის მეცნიერებაა, სამყაროს დიდი ცხოვრებაა განვლილი და გასავლელი გზებით, რეფორმებით, სიახლეებით, დამკვიდრებულის განახლებით და ახლის ძიებით. იგი ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება მოზარდის აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესებს, ყალიბდებოდა უძველესი დროიდან და ტოვებდა სახელებს, რომელთა ნაჯაფარი სამაგიდო და ცხოვრებისეული წიგნი იყო ქართველი პედაგოგებისათვის. სამარადისოა დიდი იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი უზნაძის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვა კორიფეების ღვაწლი ერის წინაშე.

პედაგოგიური მეცნიერება ყოველთვის იყო და იქნება საზომი პედაგოგიური საქმიანობისა, მაგრამ არა იმაზე მეტი და მკაცრი შემფასებელი, ვიდრე დრო, აღსაზრდელი და მასწავლებლის შემოქმედებითი უნარი. პირველი ფასეულს ითვლის და ერს არაფერს უკარგავს, მეორე იმახსოვრებს იმ ადამიანის ღვაწლს, ვინც ასწავლა, ადამიანად აქცია და სიყვარული მისცა, მესამე ნიჭია, საჩუქარია, მაგრამ თუ არ გაქვს, უნდა შეძლო. ისწავლო, რადგან- მასწავლებელი გქვია!